ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№ 22-220601

ქ. თბილისი 22 ივნისი 2022 წელი

ერთის მხრივ სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ლაშა გუნიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯი ეს სი“ (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის სულიკო სიმაევის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ - (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ - (შემდგომ „შემსყიდველი“) ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. ელექტრონული ხელმოწერა - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;
1.6. ელექტრონული შტამპი - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება;
1.7. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით დასწრების აღმრიცხველი სისტემის მოწოდების და მონტაჟის (შემდგომში - საქონელი) სახელმწიფო შესყიდვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა, კლასიფიკატორის კოდი, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1909 (ათასცხრაას ცხრა)** ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს საქონლის მოწოდებასთან.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვებს სამმართველოს IT სპეციალისტი ზურაბ თოდაძე.
5.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მოწოდების ადგილია: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, I შესახვევი, №2.
6.2. საქონლის მიწოდება და მონტაჟი უნდა განახორციელოს 2022 წლის 24 ივნისის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.8. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**
7.8.1. საქონლის მიწოდებისას განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.8.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
7.8.3. მოთხოვოს მიმწოდებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
7.8.4. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
7.9. **შემსყიდველი ვალდებულია:**
7.9.1. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.9.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
7.10. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**
7.10.1. მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.10.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
7.10.3. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
7.11. **მიმწოდებელი ვალდებულია:**
7.11.1. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;
7.11.2. აუნაზღაუროს დამკვეთს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი;
7.11.3. მიაწოდოს შემსყიდველს მაღალხარისხიანი საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.11.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელებისას;
7.11.5. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.11.6. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
7.11.7. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს კონტროლი რათა გაწეული მომსახურება შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.
8.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს კონტროლის პროცესს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.4. ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვებს სამმართველოს IT სპეციალისტი ზურაბ თოდაძე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
9.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
10.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.8. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად თუ:
10.8.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
10.8.2. მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
10.8.3. ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს;
10.8.4. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
10.8.5. მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
10.8.6. მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
10.8.7. მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
10.8.8. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;
10.8.9. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;
10.8.10.საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. შეტყობინების განხორციელება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ლაშა პაპელიშვილი (ტელ.: 599 88-88-96, ელ. ფოსტა: lpapelishvili@lta.gov.ge), მიმწოდებლის მხრიდან - დავით კვარაცხელია (ტელ.: 577 54-56-53, ელ. ფოსტა: dato@gsc.ge).

12.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

13. საქონლის ხარისხი

13.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება ახალი და ხარისხიანი.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე სწორი ექსპლუატაციის პირობებში საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

13.3. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შესყიდული საქონლის ექსპლუატაციისას, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

13.4. მიმწოდებელი არ განახორციელებს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთებას ან შეცვლას თუ საქონელზე მიყენებულია მექანიკური დაზიანება.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. დამატებითი პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/ელექტრონული შტამპით.

15.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

მიმწოდებელი:
შპს „ჯი ეს სი“
ს/კ: 211368508
მის.: ქ. თბილისი, მინდელის ქ. №5
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE35TB7462036020100003

დირექტორის მოადგილე
ლაშა გუნია

Lasha Gunia 01025010715
Digitally signed by Lasha Gunia
Date: 2022.06.22 11:37:32

დირექტორი
სულიკო სიმაევი

GSC LLC
Digitally signed by GSC LLC
Date: 2022.06.22 12:05:36 +04'00'

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი	სულ ფასი
1	31711310	Xpass ბარათების (125kHz EM) ქსელური კომბინირებული წამკითხველ/კონტროლერი; ლოკალური მეხსიერება: 40 000 მომხმარებელი, 50 000 მოვლენა; CPU 533MHz DSP, Memory 16MB RAM + 8MB Flash; გარე მონტაჟის IP65 კორპუსი; 12VDC	ცალი	1	1032	1032
2	31174000	კვების ბლოკი სამუხტით 3ა, მეტალის ყუთში 7 ა/სთ აკუმულატორის მოთავსების შესაძლებლობით	ცალი	1	110	110
3	31434000	აკუმულატორი 12ვ 7,2ა/სთ	ცალი	1	52	52
4	31174000	კვების ბლოკი სამუხტით 13,8VDC / 42W / 3A პერფორირებული კორპუსით	ცალი	1	65	65
5	31224400	საკაბელო და დამხმარე მასალების კომპლექტი	კომპლექტი	1	100	100
6	51900000	სამონტაჟო-გასამართი სამუშაოები	მომსახურება	1	550	550
ჯამი						**1909**